



# ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი

---

პროფესიული სტანდარტი

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2015

**1. პროფესიის დასახელება (ქართულად):**

ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი

**2. პროფესიის დასახელება (ინგლისურად):**

Shoes and leather accessories specialist

**3. პროფესიული სტანდარტის კოდი**

**4. პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი**

**5. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით - 7536**

**6. პროფესიის აღწერა:**

ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტს შეუძლია თანამედროვე ინდივიდუალური და მასიური წარმოების პირობებში ტყავისა და ტყავის შემცველი მასალისაგან სხვადასხვა სირთულის ფეხსაცმლისა და აქსესუარების ნაწარმის დამზადება.

**7. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:**

ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს როგორც მსხვილ, საშუალო ისე მცირე საწარმოში, მოდის ატელიეებში დარგის სპეციალისტად, ასევე შეუძლია დააფუძნოს სახელოსნო და იმუშაოს კერძო შეკვეთებზე. ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი მუშაობს გარემოში, სადაც არის დახურული შენობა, რომელიც უზრუნველყოფილია სპეციალური ინფრასტრუქტურითა და კარგი ვენტილაციით, რადგან ტყავის ნაწარმის დამზადებისას შენობაში არის სპეციფიური სამუშაო პირობები.

**8. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:**

კანონმდებლობით არ არის დადგენილი.

**9. კვალიფიკაციის დონე ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით:**

მეოთხე

**10. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:**

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1	საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	1.1. უზრუნველყოფს პირველად სამედიცინო დახმარების გაწევას 1.2. იცავს პირად და სამუშაო ადგილის სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს 1.3. იცავს შრომითი უსაფრთხოების ნორმებს 1.4. იცავს გარემოს დაცვით ნორმებს 1.5. იცავს პროფესიულ ეთიკას 1.6. იცავს ერგონომიკურ წესებს
2	სამუშაო ადგილის ორგანიზება	2.1. ამზადებს ესკიზის შესასრულებლად საჭირო სამუშაო ადგილს 2.2. ამზადებს კონსტრუქტორის სამუშაო ადგილს 2.3. ამზადებს დეტალების გამოჭრა-გამოკვეთის სამუშაო ადგილს 2.4. ახდენს ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების ნამზადის აკრებისათვის

		<p>ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად საჭირო ადგილის მოწყობას</p> <p>2.5. ამზადებს ნამზადის კალაპოტზე ფორმირებისათვის ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად საჭირო ადგილს</p> <p>2.6. ამზადებს ნამზადზე ძირის მიმაგრებისათვის ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად საჭირო ადგილს</p> <p>2.7. ახდენს მზა ნაწარმის გამოყვანის მარკირებისა და შეფუთვისათვის საჭირო ადგილის მომზადებას</p>
3	<b>ხატვისა და ფერწერის ტექნიკური ხერხების გამოყენებით ჩანახატების შექმნა</b>	<p>3.1. ირჩევს ხატვისა და ფერწერისათვის საჭირო ხელსაწყო იარაღებსა და მასალას</p> <p>3.2. ხატავს მარტივ გეომეტრიულ კომპოზიციებს</p> <p>3.3. ხატავს კომპოზიციებს</p> <p>3.4. ქმნის თავისუფალ თემაზე მონო კომპოზიციას</p> <p>3.5. ხატავს ნატურმორტს</p> <p>3.6. ხატავს ნატურმორტს ფერში</p>
4	<b>ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების ესკიზის შექმნა</b>	<p>4.1. ეცნობა ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების ასორტიმენტს კლასიფიკაციის მიხედვით</p> <p>4.2. აგებს ფეხის სტილიზებულ ესკიზს</p> <p>4.3. ხატავს ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების ესკიზს</p> <p>4.4. ახდენს ესკიზზე დეკორატიული და კონსტრუქციული ხაზების დატანას</p> <p>4.5. ასრულებს ესკიზს ფერში</p>
5	<b>ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების კონსტრუქციული ნახაზის აგება</b>	<p>5.1. იღებს ინდივიდუალური ადამიანის ფეხისა და ხელის მტევნის ზომას</p> <p>5.2. ეცნობა ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების საკლასიფიკაციო ნიშნებს</p> <p>5.3. ირჩევს კალაპოტს</p> <p>5.4. ასრულებს ესკიზის მიხედვით ფეხსაცმლის ზედაპირის ტექნიკურ მოდელირებას</p> <p>5.5. ასრულებს ესკიზის მიხედვით ფეხსაცმლის საძირე დეტალების ტექნიკურ მოდელირებას</p> <p>5.6. აგებს ტყავის აქსესუარების კონსტრუქციას</p> <p>5.7. ამზადებს ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების თარგებს</p>
6	<b>ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების დამზადების ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა</b>	<p>6.1. ირჩევს ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარებისათვის ძირითად და დამხმარე მასალას</p> <p>6.2. ახდენს ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების დამზადებისათვის დეტალების გამოჭრასა და დაკომპლექტებას</p> <p>6.3. ასრულებს ფეხსაცმლის საძირე დეტალების გამოკვეთას</p> <p>6.4. ასრულებს ფეხსაცმლის ნამზადის და აქსესუარების დეტალების აკრებას</p> <p>6.5. ასრულებს ფეხსაცმლის შეკერვის ოპერაციებს</p>

		6.6. ასრულებს ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების გამოყვანის, მარკირებისა და შეფუთვის ოპერაციებს
7	<b>პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა</b>	<p>7.1. ეცნობა ორგანიზაციის სტრუქტურასა და საკუთარ უფლება მოვალეობებს</p> <p>7.2. აფასებს საკუთარ კომპეტენციებს, ცოდნასა და უნარებს</p> <p>7.3. გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას</p> <p>7.4. ეცნობა პროფესიულ სიახლეებს (პროფესიული ლიტერატურის ანალიზი, ინტერნეტ რესურსები, პროფესიული გაერთიანებების აქტივობები და სხვ.)</p> <p>7.5. ერთვება პროფესიული განვითარების ღონისძიებებში (კონფერენციები და სემინარები, ტრენინგ-კურსები და სხვ.)</p>

**11. პიროვნული თვისებები:**

- კრეატიული
- კომუნიკაბელური
- ორგანიზებული
- პუნქტუალური
- შრომისმოყვარე
- მიზანდასახული
- ეთიკური

**12. ხელსაწყოები, დანადგარები, მასალა:**

**მანქანა/დანადგარი:** საზედაპირე დეტალების გამომჭრელი, არტიკულის დამრტყმელი, ზედაპირისა და სარჩულის კიდების ჩამთლელი, ზედაპირის კიდების დამკეცი, კონათა და ცხვირის ნაწილის მომჭიმი, ნამზადის ცხვირის ნაწილის წინასწარი ფორმირების, ნამზადის ქუსლის ნაწილის წინასწარი ფორმირების, დანოტივების კამერა, საშრობი კარადა, ინდივიდუალური გამწოვი, აქტივატორი, ლანჩის მიმწებებელი წნეხი, ლანჩის კიდის გამხეხი (ფრეზერი), ფეხსაცმლისა და ჩექმის ყელის გასაუთოებელი, ნაკერის გამაგლუვებელი, ჭოჭონაქების ჩამსმელი, ფეხსაცმიდან კალაპოტის ამოსაღები, დინამომეტრი, სისქისმზომი, ანალიზური სასწორი, მიკროსკოპი, გრაძირების.

**ტყავის საკერავი მანქანები:** ბრტყელბაქნიანი ერთნემსიანი, ბრტყელბაქნიანი ორნემსიანი, მაღალბაქნიანი ერთნემსიანი, სახელურიანი-ჩექმის ყელის შემკერი, ზიგზაგის, ქობის დამკერებელი, დეკორატიული გვირისტის.

**ხელსაწყოები:** პლანტოგრაფი (ტერფის ანაბეჭდის ასაღები ხელსაწყო), ტერფმზომი, ტერფის მულაჟი, ტყავის საჭრელი დაფა, თარგის მოსანიშნი გორგოლაჭი, ზედაპირის გამომჭრელი დანა, კიდების ჩამთლელი დანა, სხვადასხვა ზომის დანების კომპლექტი, ხელის პერფორატორების კომპლექტი (გეომეტრიული ფორმის მიხედვით), მაკრატლები სხვადასხვა პერფორირებული პირით, პოლივინილქლორიდის ბალიშები, ნაკერების გამაგლუვებელი (ხელის), მახათი, სხვადასხვა ზომის ნემსი, სადგისი, მაკრატელი, სხვადასხვა ზომის ფუნჯი, სალესი, ხელის ელექტრო უთო, წებოს ჭურჭელი, სხვადასხვა ქიმიკატების ჭურჭელი, ფურნიტურის დასამაგრებელი, ჩაქუჩი, მოსაჭიმი ბრტყელტუჩა, გამხეხი ქლიბი, ზუმფარის ქაღალდი, ქუსლის ნაწილის ფორმირებისათვის ქუსლის ფორმები, გასაპრიალებელი ჯაგრისი, ტყავის ფენი, სანტიმეტრული ლენტი, სხვადასხვა ასორტიმენტის კალაპოტი, სანათი, საჭრელი ფურცელი, ფანქარი, ფერადი ფლომასტერები, მარკერი, დაფის მაგნიტი, საშლელი, სათლელი, შტანგერფარგალი, ზუსტმზომი, ფარგალი, სახაზავების კომპლექტი, ლეკალოების ნაკრები.

**მასალა:** სხვადასხვა სახის საზედაპირე ბუნებრივი ტყავი (ტყავნედლეულის, დათრიმვლის მეთოდის, ზედაპირის გამოყვანის, ფერების მიხედვით). სხვადასხვა სასარჩულე ტყავი, სინთეზური/ხელოვნური ტყავი, სხვადასხვა სახის საზედაპირე ქსოვილი, სხვადასხვა სახის სასარჩულე ქსოვილი, ნატურალური და ხელოვნური ბეწვი, ტრიკოტაჟის ქსოვილი, შუასადები ქსოვილები, საძირე ნატურალური ტყავი, ფოროვანი რეზინა, ხელოვნური საძირე რეზინა, კომბინირებული საძირე მასალა, ჩამოსხმული ძირები, მონოლითური ლანჩა, ხის ძირი, სადაბაშე მუყაო, სადაბაშე ტყავი, გრანიტოლი, თერმოელასტოპლასტი, საქუსლარის მუყაო, სხვადასხვა ფორმის ქუსლი (ხე, ლითონი, პლასტმასი, MDF, ტყავი, რეზინა, კორპი და სხვ.), ქეჩა, სახაზავი ფორმატი, წებოვანი ლენტი, მუყაო.

**დამხმარე მასალა:** სხვადასხვა სახის ძაფი (6/8 წვერიანი კაპრონი, ლავსანი, ლავსანი/ბამბა, ანიდი, გასანთლული), რეზინის წებო, ტყავის „შპაკლი“ (დაზიანებული ზედაპირის ამოსავსებად-გასაგლუვებლად), აკრილის ლატექსი, ობრადორი, ლურსმანი, პოლიურიტანის წებო, ნაირიტის წებო, პოლივინილაცეტატის წებო, წებოს გამხსნელი სითხე, აცეტონი, ტექსი, ხრახნიანი ლურსმანი, წებოვანი ტესმა, ყაითანი, ელვა შესაკრავი (სხვადასხვა ზომის), კოსმოსური ელვა, რანტი, დეკორატიული რანტი, ქუსლის გადასაკრავი, თასმები, კნოპები, ჭოჭონაქი, შესაფუთი ქაღალდი, ყუთი, ფორმის შემანარჩუნებელი მუყაო, სანთელი, სხვადასხვა ფერის საღებავი, კამარა (ხე, მეტალი, პლასტმასი).

**13. პროფესიის სამომავლო ტენდენციები:**

- ტექნიკური სიახლეები

**14. პროფესიული ცოდნა და უნარები:**

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის პირველადი მოხმარების მედიკამენტების გამოყენების წესები</li> <li>• იცის ადამიანის სხეულის დაზიანებული ჭრილობის პირველადი დამუშავების წესები</li> <li>• იცის დაზარალებული პირის პირველადი დახმარების გაწევის წესები</li> <li>• იცის პირადი ჰიგიენური მოვლის წესები</li> <li>• იცის ხელსაწყოების მოწესრიგების წესები</li> <li>• იცის სპეცტანსაცმლის მოვლის წესები</li> <li>• იცის შრომის უსაფრთხოების წესები</li> <li>• იცის ხანძარსაწინააღმდეგო წესები</li> <li>• იცის სპეციალურ მანქანა/დანადგარებთან მუშაობის წესები</li> <li>• იცის ხელსაწყოების გამოყენების წესები</li> <li>• იცის გარემოს დაცვის წესები</li> <li>• იცის ბუნების მოვლა/გაფრთხილების წესები</li> <li>• იცის აირგამწოვის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია გამოიყენოს პირველადი მოხმარების მედიკამენტები</li> <li>• შეუძლია დაამუშაოს ადამიანის სხეულის დაზიანებული ჭრილობა</li> <li>• შეუძლია დაზარალებული პირის გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება</li> <li>• შეუძლია ჰიგიენური წესების დაცვა</li> <li>• შეუძლია ხელსაწყოების მოწესრიგება</li> <li>• შეუძლია სპეცტანსაცმლის მოვლა</li> <li>• შეუძლია შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა</li> <li>• შეუძლია მანქანა/დანადგარებთან მუშაობა</li> <li>• შეუძლია საჭირო ხელსაწყოების გამოყენება</li> <li>• შეუძლია გარემოს დაცვა</li> <li>• შეუძლია ბუნების მოვლა/გაფრთხილება</li> <li>• შეუძლია აირგამწოვის გამოყენება</li> <li>• შეუძლია ეთიკის ნორმების</li> </ul>







		<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის ხატვის ტექნიკური ხერხები</li> <li>• იცის ნატურიდან გადმოხატვის მეთოდები</li> <li>• იცის შუქ-ჩრდილების გამოყენებით მოცულობითი ფორმების გადმოცემის მეთოდები</li> <li>• იცის სიმეტრიისა და ასიმეტრიის გადმოცემის მეთოდები</li> <li>• იცის პროპორცია, სტატიკა და დინამიკის გადმოცემის მეთოდები</li> <li>• იცის რითმის, კონტრასტისა და ნიუანსის დანიშნულება</li> <li>• იცის გრაფიკული გამომსახველობითი საშუალებების გადმოცემის მეთოდები</li> <li>• იცის ხაზისა და ლაქის რიტმული ხასიათისა და პროპორციის გადმოცემის მეთოდები</li> <li>• იცის ნახატის კომპოზიციური განაწილების წესები</li> <li>• იცის შუქ-ჩრდილების გამოყენებით მოცულობითი ფორმების გადმოსაცემის წესები</li> <li>• იცის ნატურმორტის დასახატი საჭირო ხელსაწყო იარაღებისა და მასალის დანიშნულება</li> <li>• იცის ნატურმორტის ფერში დასახატად საჭირო ხელსაწყო იარაღებისა და მასალის დანიშნულება</li> <li>• იცის ფერის გრადაციის მეთოდები</li> <li>• იცის ფერის მიღების მეთოდები</li> </ul>	<p>მოცულობითი ფორმები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია ხატვის ყველა კანონებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით ხატვა</li> <li>• შეუძლია ნახატის კომპოზიციური განაწილება</li> <li>• შეუძლია შუქ-ჩრდილების გამოყენებით მოცულობითი ფორმების გადმოსაცემა</li> <li>• შეუძლია ნატურმორტის დასახატი საჭირო ხელსაწყო იარაღებისა და მასალის შერჩევა</li> <li>• შეუძლია ნატურმორტის ფერში დასახატად საჭირო ხელსაწყო იარაღებისა და მასალის შერჩევა</li> <li>• შეუძლია ფერის გრადაციის შესრულება</li> <li>• შეუძლია ფერის მიღება</li> </ul>
4.	<p><b>ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების ესკიზის შექმნა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის ფეხსაცმლისა და აქსესუარების დანიშნულება საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით</li> <li>• იცის ადამიანის ფეხისა და ფეხის ტერფის სტილიზებული ფორმის პროპორციების ტიპები</li> <li>• იცის ფურცელზე ფეხისა და ფეხის ტერფის სტილიზებული ფორმის ხატვის ტექნიკური ხერხები</li> <li>• იცის ფეხსაცმლის ხატვის ტექნიკური ხერხები ფანქარში</li> <li>• იცის აქსესუარების ხატვის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია ფეხსაცმლისა და აქსესუარების დაყოფა საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლისა და აქსესუარების დაყოფა საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლის ხატვა ფანქარში</li> <li>• შეუძლია აქსესუარის ხატვა ფანქარში</li> <li>• შეუძლია ტერფის ძირითადი ანატომიური კვებების</li> </ul>



		<p>ტექნიკური ხერხები ფანქარში</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის ტერფის ძირითადი ანატომიური კვთების დანიშნულება</li> <li>• იცის ესკიზზე კონსტრუქციული და დეკორატიული ხაზების დანიშნულება</li> <li>• იცის ფერების კომპოზიციური განაწილების მეთოდები ფეხსაცმლისა და აქსესუარების ესკიზში</li> <li>• იცის ფეხსაცმლისა და აქსესუარების ესკიზში ფერით გამომსახველობითი საშუალებების ხატვის ტექნიკური ხერხები</li> </ul>	<p>განსაზღვარა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია ესკიზზე კონსტრუქციული და დეკორატიული ხაზების დატანა</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლისა და აქსესუარების ესკიზში ფერების კომპოზიციური განაწილება</li> <li>• შეუძლია დახატოს ფეხსაცმლისა და აქსესუარების ესკიზში ფერით გამომსახველობითი საშუალებები</li> </ul>
<p>5.</p>	<p><b>ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების კონსტრუქციული ნახაზის აგება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის ფეხის ტერფისა და ხელის მტევნის ანთროპომეტრიული ნიშნების გასაზომ ხელსაწყო/ აპარატურის დანიშნულება</li> <li>• იცის ფეხის ტერფის კვალის პროექციის აღების მეთოდები</li> <li>• იცის ფეხის ტერფის გაზომვის მეთოდები</li> <li>• იცის ხელის მტევნის გაზომვის მეთოდები</li> <li>• იცის ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების საკლასიფიკაციო ნიშნები სახისა და ფასონის მიხედვით</li> <li>• იცის ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების საკლასიფიკაციო ნიშნები დანიშნულების მიხედვით</li> <li>• იცის ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების საკლასიფიკაციო ნიშნები სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისა და ზომითი მახასიათებლების მიხედვით</li> <li>• იცის ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების საკლასიფიკაციო ნიშნები გამოყენებული ძირითადი მასალების მიხედვით</li> <li>• იცის ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების საკლასიფიკაციო ნიშნები ძირის მიმაგრების მიხედვით</li> <li>• იცის ფეხსაცმლის კალაპოტების სახეები</li> <li>• იცის საბაზისო მოდელის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია ფეხის ტერფისა და ხელის მტევნის ანთროპომეტრიული ნიშნების გასაზომ ხელსაწყო/აპარატურის შერჩევა</li> <li>• შეუძლია ფეხის ტერფის ანთროპომეტრიული ზომების აღება</li> <li>• შეუძლია ხელის მტევნის ანთროპომეტრიული ზომებიდან აღება</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების საკლასიფიკაციო ნიშნების სახისა და ფასონის მიხედვით შერჩევა</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების საკლასიფიკაციო ნიშნების დანიშნულების მიხედვით შერჩევა</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების საკლასიფიკაციო ნიშნების შერჩევა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისა და ზომითი ნიშნის მიხედვით</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების საკლასიფიკაციო ნიშნების შერჩევა ძირის მიმაგრების მიხედვით</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლის კალაპოტების საკლასიფიკაციო</li> </ul>

		<p>ასაგებად საჭირო ხელსაწყო– იარაღისა და მასალის დანიშნულება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის ტექნიკური მოდელირებისათვის კალაპოტის მომზადების წესები</li> <li>• იცის კალაპოტიდან მყარი გარსაცმის მიღების წესი</li> <li>• იცის კალაპოტიდან საშუალო ასლის მიღების წესი</li> <li>• იცის კალაპოტის გარსაცმზე და საშუალო ასლზე საბაზისო და დამხმარე ხაზების აგების წესი</li> <li>• იცის ფეხსაცმლის ზედაპირის ტექნიკური მოდელირების წესები</li> <li>• იცის კალაპოტის კვალის განაშალის მიღების წესი</li> <li>• იცის ღაბაშის აგების წესი</li> <li>• იცის სამირე დეტალების აგების წესები</li> <li>• იცის ესკიზის მიხედვით აქსესუარების კონსტრუქციული ნახაზის აგების წესი</li> <li>• იცის საბაზისო ნახაზიდან ტექნოლოგიური ნორმატივების მიხედვით თარგის მიღების წესი</li> <li>• იცის კონსტრუქციის მიხედვით თარგების დაკომპლექტების წესი</li> </ul>	<p>ნიშნების მიხედვით შერჩევა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია საბაზისო მოდელის ასაგებად საჭირო ხელსაწყო–იარაღისა და მასალის შერჩევა</li> <li>• შეუძლია ტექნიკური მოდელირებისათვის კალაპოტის მომზადება</li> <li>• შეუძლია კალაპოტიდან მყარი გარსაცმის მიღება</li> <li>• შეუძლია კალაპოტიდან საშუალო ასლის მიღება</li> <li>• შეუძლია კალაპოტის გარსაცმზე და საშუალო ასლზე საბაზისო და დამხმარე ხაზების აგება</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლის ზედაპირის ტექნიკური მოდელირება</li> <li>• შეუძლია კალაპოტის კვალის განაშალის მიღება</li> <li>• შეუძლია ღაბაშის აგება</li> <li>• შეუძლია სამირე დეტალების აგება</li> <li>• შეუძლია ესკიზის მიხედვით აქსესუარების კონსტრუქციული ნახაზის აგება</li> <li>• შეუძლია საბაზისო ნახაზიდან ტექნოლოგიური ნორმატივების მიხედვით თარგის მიღება</li> <li>• შეუძლია კონსტრუქციის მიხედვით თარგების დაკომპლექტება</li> </ul>
6.	<p><b>ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების დამზადების ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის ძირითადი და დამხმარე მასალების საკლასიფიკაციო ნიშნები</li> <li>• იცის ბუნებრივი მასალების ფიზიკო–მექანიკურ მახასიათებლები</li> <li>• იცის ხელოვნური და ქსოვილური მასალების ფიზიკო–მექანიკურ მახასიათებლები</li> <li>• დამხმარე მასალების ფიზიკო–მექანიკურ მახასიათებლები</li> <li>• იცის ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების დამზადებისათვის საჭირო ხელსაწყო–იარაღების დანიშნულება</li> <li>• იცის ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების დამზადებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალის დანიშნულება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია ძირითადი და დამხმარე მასალების საკლასიფიკაციო ნიშნების განსაზღვრა</li> <li>• შეუძლია ბუნებრივი მასალების ფიზიკო–მექანიკურ მახასიათებლების განსაზღვრა</li> <li>• შეუძლია ხელოვნური და ქსოვილური მასალების ფიზიკო–მექანიკურ მახასიათებლების განსაზღვრა</li> <li>• შეუძლია მასალების ფიზიკო–მექანიკურ მახასიათებლების განსაზღვრა</li> <li>• შეუძლია საჭირო ხელსაწყო–იარაღების შერჩევა</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების დამზადებისათვის საჭირო</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის მასალში თარგთა განლაგების წესები</li> <li>• იცის გამოჭრილი დეტალების დაკომპლექტების წესი</li> <li>• იცის ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების გამოჭრის წესი</li> <li>• იცის ფეხსაცმლის საძირე დეტალების გამოკვეთისათვის საჭირო ხელსაწყო–იარაღების დანიშნულება</li> <li>• იცის ფეხსაცმლის საძირე დეტალების დამზადებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალის დანიშნულება</li> <li>• იცის მასალში საძირე დეტალების თარგთა განლაგების წესები</li> <li>• იცის გამოკვეთილი დეტალების დაკომპლექტების წესი</li> <li>• იცის აკრებისათვის საჭირო მანქანა/დანადგართან და ხელსაწყო–იარაღებთან უსაფრთხო მუშაობის წესები იცის ნამზადის აკრების თანმიმდევრობის წესები</li> <li>• იცის ფეხსაცმლის ნამზადისა და ტყავის აქსესუარების დროებითი და ძირითადი შეერთების მეთოდები</li> <li>• იცის ფეხსაცმლის ნამზადისა და ტყავის აქსესუარების დეტალების წინასწარი დამუშავების მეთოდები</li> <li>• იცის კალაპოტის საჭირო ხელსაწყო–იარაღებისა და მანქანა/დანადგარების დანიშნულება</li> <li>• იცის საქუსლარისა და ცხვირქვედის ნამზადში ჩასმის წესები</li> <li>• იცის ქუსლისა და ცხირის ნაწილის წინასწარ ფორმირების წესი</li> <li>• იცის კალაპოტზე ფეხსაცმლის ნამზადის გადაჭიმვა/მოჭიმვის წესები</li> <li>• იცის კვალის შევსების წესები</li> <li>• იცის ფეხსაცმლის გადასაჭიმი ნაწიბურის აბურმგვნის, ლანჩის გახეხვისა და დამუშავების წესი</li> <li>• იცის ფორმირებულ ნამზადზე</li> </ul>	<p>ძირითადი და დამხმარე მასალის თვისებების განსაზღვრა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია მასალში თარგთა განლაგება</li> <li>• შეუძლია გამოჭრილი დეტალების დაკომპლექტება</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების გამოჭრა</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლის საძირე დეტალების გამოკვეთისათვის საჭირო ხელსაწყო–იარაღების შერჩევა</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლის საძირე დეტალების დამზადებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალის თვისებების განსაზღვრას</li> <li>• შეუძლია მასალში საძირე დეტალების თარგთა განლაგება</li> <li>• შეუძლია გამოკვეთილი დეტალების დაკომპლექტება</li> <li>• შეუძლია აკრებისათვის საჭირო მანქანა/დანადგართან და ხელსაწყო–იარაღებთან უსაფრთხო მუშაობა</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლის ნამზადისა და ტყავის აქსესუარების დროებითი და ძირითადი შეერთება</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლის ნამზადისა და ტყავის აქსესუარების დეტალების წინასწარი დამუშავება</li> <li>• შეუძლია კალაპოტის საჭირო ხელსაწყო–იარაღებისა და მანქანა/დანადგარის შერჩევა</li> <li>• შეუძლია საქუსლარისა და ცხვირქვედის ნამზადში ჩასმა</li> <li>• შეუძლია ქუსლისა და ცხირის ნაწილის წინასწარი ფორმირება</li> <li>• შეუძლია კალაპოტზე ფეხსაცმლის ნამზადის გადაჭიმვა/მოჭიმვა</li> <li>• შეუძლია კვალის შევსება</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლის გადასაჭიმი ნაწიბურის აბურმგვნა, ლანჩის გახეხვა და დამუშავება</li> <li>• შეუძლია ფორმირებულ ნამზადზე ძირის მიმაგრება</li> </ul>
--	---	---

		<p>ძირის მიმაგრების წესები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის ლანჩის ხილული კიდის დამუშავების წესები</li> <li>• იცის ფეხსაცმლის ნამზადისა და აქსესუარების დეტალების აკრებისათვის საჭირო ხელსაწყო იარაღებისა და მანქანა-დანადგარების დანიშნულება</li> <li>• იცის ჩასაფენი ღაბაშისა და რბილი ქუსლქვედის ფეხსაცმელში ჩაწებების წესები</li> <li>• იცის მზა ნაწარმზე რეკვიზიტების დასმის საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით შესრულების წესები</li> <li>• იცის მზა ნაწარმის შეფუთვის წესები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია ლანჩის ხილული კიდის დამუშავება</li> <li>• შეუძლია ფეხსაცმლის ნამზადისა და აქსესუარების დეტალების აკრებისათვის საჭირო ხელსაწყო იარაღებისა და მანქანა-დანადგარების შერჩევა</li> <li>• შეუძლია ჩასაფენი ღაბაშისა და რბილი ქუსლქვედის ფეხსაცმელში ჩაწებება</li> <li>• შეუძლია მზა ნაწარმზე რეკვიზიტების დასმის საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით შესრულება</li> <li>• შეუძლია მზა ნაწარმის შეფუთვა</li> </ul>
7.	<b>პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის შრომის კანონის დაცვის წესები</li> <li>• იცის გუნდური მუშაობის წესები</li> <li>• იცის ნამუშევრის პრეზენტაციის გაკეთების წესები</li> <li>• იცის ნამუშევრების შერჩევის წესები ექსპოზიციისათვის</li> <li>• იცის უცხოურ ენაზე კომუნიკაცია</li> <li>• იცის უცხოურ ენაზე მასალის მოძიების მეთოდები</li> <li>• იცის კომპიუტერული პროგრამების გამოყენების წესები</li> <li>• იცის ელექტრონული ფოსტის გამოყენების წესები</li> <li>• იცის ინტერნეტის გამოყენების წესები</li> <li>• იცის პროფესიულ გაერთიანებების მუშაობის მეთოდები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია დაიცვას შრომის კანონი</li> <li>• შეუძლია შეასრულოს თავისი უფლება მოვალეობა კომპეტენციის ფარგლებში</li> <li>• შეუძლია გუნდური მუშაობა</li> <li>• შეუძლია გააკეთოს პრეზენტაცია</li> <li>• შეუძლია სწორად შეარჩიოს ნამუშევარი ექსპოზიციისათვის</li> <li>• შეუძლია უცხოურ ენაზე კომუნიკაცია</li> <li>• შეუძლია უცხოურ ენაზე მასალის მოძიება</li> <li>• შეუძლია ახალი მასალის ათვისება</li> <li>• შეუძლია ანალიზის გაკეთება</li> <li>• შეუძლია კომპიუტერთან მუშაობა</li> <li>• შეუძლია ელექტრონული ფოსტის გამოყენება</li> <li>• შეუძლია ახალი მასალის ათვისება</li> <li>• შეუძლია პროფესიულ გაერთიანებებთან მუშაობა</li> </ul>

**15. სტანდარტის მოქმედების ვადა:**

5 წელი

**პროფესიული სტანდარტის შემუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრები:**

№	სახელი და გვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1	ნინო წიქარიშვილი	შპს „ნათ-ია 2009“, ფეხსაცმლისა და აქსესუარების დიზაინერ-კონსტრუქტორი
2	ნინო მჭედლიძე	შპს „ELIT&G“, დიზაინერ-კონსტრუქტორი

3	კარენ მინასიანი	შპს „სამოსელი პირველი“, კონსტრუქტორ/ტექნოლოგი
4	დავით ფეიქრიშვილი	ი/მ „დავითი“, დამფუძნებელი/დარგის სპეციალისტი
5	ანა ქუბიაშვილი	შპს „Armando shoes“, დიზაინერ/კონსტრუქტორი
6	მარიამ სამხარაძე	ი/მ „Marusinka shoes“, დამფუძნებელი/დარგის სპეციალისტი
7	ლელა კობერიძე	შპს „ეკა & კომპ“, დარგის სპეციალისტი
8	მადონა ხარატიშვილი	შპს „ჯეო-შუზ“, დამფუძნებელი/დარგის სპეციალისტი
9	ჟორჯი რევიშვილი	შპს „სამოსელი პირველი“, მიწვეული სპეციალისტი (მეცნიერების დოქტორი)
10	ნინო გზირიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ-ფასილიტატორი
11	თეა გელიკაშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ-ფასილიტატორი

### შეფასების სტანდარტი

**პროფესიის დასახელება:** ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი

#### ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლებისა და/ან არაფორმალური განათლების ფარგლებში შემენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი ეფუძნება კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს. ის განსაზღვრავს სტანდარტში ასახული პროფესიული ცოდნისა და უნარების შეფასებისა და დადასტურების აუცილებელ პირობებს: 1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების ტერმინებში; 2. კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებშიც ასახულია აუცილებელი პროფესიული ცოდნა და უნარები; 3. კომპეტენციების დადასტურებისათვის გამოყენებულ მტკიცებულებებს.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს შეფასების პროცესის განხორციელების მიდგომებს.

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

არაფორმალური განათლების აღიარების მიზნებისათვის გამოიყენება წინამდებარე დოკუმენტის მესამე ნაწილში (ნაწილი 3. შეფასების პროცესი და კომპონენტები) აღწერილი პროცედურები. შედეგები აისახება თანდართულ ფორმებში, რომლებიც დანართის სახით ახლავს დოკუმენტს.



**ნაწილი 2. შეფასების კრიტერიუმები**

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
<b>პროფესიული მოვალეობა 1: საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა</b>	
1.1. აღმოუჩენს/უზრუნველყოფს პირველად სამედიცინო დახმარებას/დახმარების გაწევას	1.1.1. სწორად ჩამოთვლის პირველადი მოხმარების საჭირო მედიკამენტებს 1.1.2. სწორად ჩამოთვლის პირველადი დახმარების გაწევის მეთოდებს
1.2. იცავს (პირად და სამუშაო ადგილის) სანიტარულ/ჰიგიენურ ნორმებს	1.2.1. სწორად ჩამოთვლის პირადი ჰიგიენის ნორმებს 1.2.2. სწორად ჩამოთვლის სანიტარულ ნორმებს 1.2.3. სწორად ასუფთავებს სამუშაო ადგილსა და ხელსაწყო-იარაღებს 1.2.4. სწორად ასუფთავებს პირადი მოხმარების კარადას 1.2.5. სწორად ასუფთავებს ხელსაბანს 1.2.6. სწორად იცვამს და ინახავს სპეცტანსაცმელს
1.3. იცავს შრომითი უსაფრთხოების ნორმებს	1.3.1. სწორად ჩამოთვლის შრომითი უსაფრთხოების ნორმებს 1.3.2. სწორად ჩამოთვლის ხანძარსაწინააღმდეგო წესებს 1.3.3. სწორად ამოწმებს ხელსაწყო-იარაღებისა და მანქანა-დანადგარების გამართულობას 1.3.4. სწორად უზრუნველყოფს წებოსა და ქიმიკატების ჭურჭლის გერმეტულობას
1.4. იცავს გარემოსდაცვით ნორმებს	1.4.1. სწორად გააქვს ბუნებრივი და ხელოვნური მასალების ნარჩენები
1.5. იცავს პროფესიულ ეთიკას	1.5.1. სწორად ჩამოთვლის პროფესიული ეთიკის ნორმებს
1.6. იცავს ერგონომიკურ წესებს	1.6.1. იხილეთ სამუშაო ადგილის ორგანიზებაში
<b>პროფესიული მოვალეობა 2: სამუშაო ადგილის ორგანიზება</b>	
2.1. ამზადებს ესკიზის შესასრულებლად საჭირო სამუშაო ადგილს	2.1.1. სწორად ჩამოთვლის ესკიზის შესასრულებლად საჭირო ინვენტარს 2.1.2. სწორად ირჩევს ესკიზის შესასრულებლად საჭირო ადგილს 2.1.3. სწორად აწყობს სამუშაო ადგილს
2.2. ამზადებს კონსტრუქტორის სამუშაო ადგილს	2.2.1. სწორად ჩამოთვლის კონსტრუქციებისათვის საჭირო სამუშაო ინვენტარს 2.2.2. სწორად ირჩევს კონსტრუქციებისათვის საჭირო სამუშაო ადგილს 2.2.3. სწორად აწყობს სამუშაო ადგილს

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
2.3. ამზადებს დეტალების გამოჭრა-გამოკვეთის სამუშაო ადგილს	2.3.1. სწორად ჩამოთვლის გამოჭრა-გამოკვეთისათვის საჭირო სამუშაო ხელსაწყო-იარაღებს, მანქანა-დანადგარებსა და ინვენტარს 2.3.2. სწორად ირჩევს გამოჭრელისათვის საჭირო სამუშაო ადგილს 2.3.3. სწორად აწყობს სამუშაო ადგილს
2.4. აწყობს ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების ნამზადის აკრებისათვის ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად საჭირო ადგილს	2.4.1. სწორად ჩამოთვლის ფეხსაცმლისა და აქსესუარების ნამზადის აკრებისათვის ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად საჭირო სამუშაო ინვენტარს, ხელსაწყო-იარაღებსა და მანქანა-დანადგარს 2.4.2. სწორად ირჩევს ფეხსაცმლისა და აქსესუარების ნამზადის აკრებისათვის ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად საჭირო სამუშაო ადგილს 2.4.3. სწორად აწყობს ფეხსაცმლისა და აქსესუარების ნამზადის აკრებისათვის ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად ადგილს
2.5. ამზადებს ნამზადის კალაპოტზე ფორმირებისათვის ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად საჭირო ადგილს	2.5.1. სწორად ჩამოთვლის ფეხსაცმლის ნამზადის კალაპოტზე ფორმირების ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად საჭირო სამუშაო ინვენტარს, ხელსაწყო-იარაღებსა და მანქანა-დანადგარს 2.5.2. სწორად ირჩევს ფეხსაცმლის ნამზადის კალაპოტზე ფორმირების ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად საჭირო სამუშაო ადგილს 2.5.3. სწორად აწყობს ფეხსაცმლის ნამზადის კალაპოტზე ფორმირების ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად ადგილს
2.6. ამზადებს ნამზადზე ძირის მიმაგრებისათვის ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად საჭირო ადგილს	2.6.1. სწორად ჩამოთვლის ფეხსაცმლის ფორმირებულ ნამზადზე ძირის მიმაგრებისათვის ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად საჭირო სამუშაო ინვენტარს, ხელსაწყო-იარაღსა და მანქანა-დანადგარს 2.6.2. სწორად ირჩევს ფეხსაცმლის ფორმირებულ ნამზადზე ძირის მიმაგრებისათვის ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად საჭირო სამუშაო ადგილს 2.6.3. სწორად აწყობს ფეხსაცმლის ფორმირებულ ნამზადზე ძირის მიმაგრებისათვის ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად ადგილს
2.7. ამზადებს მზა ნაწარმის გამოყვანის მარკირებისა და შეფუთვისათვის საჭირო ადგილს	2.7.1. სწორად ჩამოთვლის მზა ნაწარმის გამოყვანის, მარკირებისა და შეფუთვისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღს 2.7.2. სწორად ირჩევს მზა ნაწარმის გამოყვანის, მარკირებისა და შეფუთვისათვის საჭირო სამუშაო ადგილს 2.7.3. სწორად აწყობს მზა ნაწარმის გამოყვანის, მარკირებისა და შეფუთვისათვის საჭირო შესასრულებელ ადგილს
<b>პროფესიული მოვალეობა 3: ხატვისა და ფერწერის ტექნიკური ხერხების გამოყენებით ჩანახატების შექმნა</b>	
3.1. ირჩევს ხატვისა და ფერწერისათვის საჭირო ხელსაწყო-	3.1.1. სწორად ჩამოთვლის ხატვის (გრაფიკის) ხელსაწყოებსა და მასალას

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
იარაღებსა და მასალას	3.1.2. სწორად ჩამოთვლის ფერწერის (წყლის საღებავები) ხელსაწყოებსა და მასალას
3.2. ხატავს მარტივ გეომეტრიულ კომპოზიციებს	3.2.1. სწორად ასრულებს გრაფიკული შტრიხების ნაირსახეობებს 3.2.2. სწორად ასრულებს გეომეტრიული ფიგურებისაგან შექმნილ კომპოზიციას 3.2.3. სწორად ხატავს ნატურიდან თაბაშირის მარტივ გეომეტრიულ ფიგურას
3.3. ხატავს კომპოზიციებს	3.3.1. სწორად ხატავს მარტივ კომპოზიციას, კომპოზიციის ძირითადი კანონებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით
3.4. ქმნის თავისუფალ თემაზე მონოკომპოზიციას	3.4.1. სწორად ანაწილებს მონოკომპოზიციას ფურცელზე 3.4.2. სწორად ასახავს მოცულობით ფორმებს მონო-კომპოზიციაში
3.5. ხატავს ნატურმორტს	3.5.1. სწორად ჩამოთვლის მარტივი ნატურმორტისათვის ხელსაწყო-იარაღსა და მასალას 3.5.2. კომპოზიციურად სწორად ანაწილებს ნატურმორტს ფურცელზე (ფანქარში) 3.5.3. სწორად აგებს ნატურმორტს ფანქარში 3.5.4. სწორად ამუშავებს შუქ-ჩრდილების გამოყენებით (ფანქარში)
3.6. ხატავს ნატურმორტს ფერში	3.6.1. სწორად არჩევს ნატურმორტისათვის ფერში შესასრულებლად საჭირო ხელსაწყო-იარაღებსა და მასალას 3.6.2. სწორად ირჩევს მოცემული ნატურმორტის ფერთა პალიტრას 3.6.3. სწორად აძლევს ნატურმორტს მოცულობით ფორმას
<b>პროფესიული მოვალეობა 4: ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების ესკიზის შექმნა</b>	
4.1. ეცნობა ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების ასორტიმენტს კლასიფიკაციის მიხედვით	4.1.1. სწორად ჩამოთვლის ფეხსაცმლისა და აქსესუარების ასორტიმენტს 4.1.2. სწორად განმარტავს ფეხსაცმლისა და აქსესუარების საკლასიფიკაციო ნიშნებს (ფასონი, კონსტრუქცია, ძირის მიმაგრება)
4.2. აგებს ფეხის სტილიზებულ ესკიზს	4.2.1. სწორად ხატავს ფურცელზე ფეხისა და ფეხის ტერფის სტილიზებულ ფორმას 4.2.2. სწორად ხატავს ადამიანის ფეხსა და ფეხის ტერფის სტილიზებულ ფორმას მოძრაობაში
4.3. ხატავს ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების ესკიზს	4.3.1. მითითების შესაბამისად, სწორად ხატავს ფეხსაცმელს ფანქარში 4.3.2. მითითების შესაბამისად, სწორად ხატავს აქსესუარს ფანქარში
4.4. გადააქვს ესკიზზე დეკორატიული და კონსტრუქციული ხაზები	4.4.1. სწორად განმარტავს ტერფის ძირითად ანატომიურ კვებებს (ქუსლი, კამარა, კონათა, ცხვირი, ქედის ნაწილი) 4.4.2. მითითების შესაბამისად, სწორად გადააქვს ესკიზზე მოდელის კონსტრუქციულ –დეკორატიული ხაზები, ანატომიური კვებების სპეციფიკის გათვალისწინებით
4.5. ასრულებს ესკიზს ფერში	4.5.1. სწორად არჩევს ფანქარში შესრულებული ესკიზისათვის საჭირო ფერთა გამას, ფეხსაცმლისა და აქსესუარების საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
	<p>4.5.2. კომპოზიციურად სწორად ანაწილებს ფეხსაცმლისა და აქსესუარების ესკიზში ფერთა გამას</p> <p>4.5.3. სწორად ხატავს ფეხსაცმლისა და აქსესუარების ესკიზს გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით</p>
<b>პროფესიული მოვალეობა 5: ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების კონსტრუქციული ნახაზის აგება</b>	
<p>5.1. იღებს ადამიანის ინდივიდუალური ფეხისა და ხელის მტევნის ზომას</p>	<p>5.1.1. სწორად აღწერს ფეხის ტერფისა და ხელის მტევნის ანთროპომეტრიული ნიშნების გასაზომი ხელსაწყო-აპარატურის მუშაობის პრინციპს</p> <p>5.1.2. სწორად აღწერს ფეხის ტერფის კვალის პროექციის მიღების მეთოდს</p> <p>5.1.3. სწორად იღებს ფეხის ტერფისა და ხელის მტევნის ძირითადი ანთროპომეტრიულ ზომით ნიშნებს</p>
